ხელშეკრულება № 24

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დ.შუახევი **22.06.2016 წელი**

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 თვის, მე-10 მუხლის, მე-3 პუნქტის და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ " სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის, შესაბამისად ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ა(ა)იპ ,,შუახევის სოციალური სერვისების ცენტრი" (დ.შუახევი რუსთაველის ქ.№61) (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მერაბ დავითაძის სახით და მეორეს მხრივ ინდ/მეწ. ,,რევაზ დავითაძე" (დაბა შუახევის რუსთაველის ქ №31) შემდგომში მიმწოდებელი, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ ,,შუახევის სოციალური სერვისების ცენტრი"-ს მიერ 2016 წლის სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესაბამისად ,,ნივა"-ს მარკის ავტომანქანების სახ.ნომრებით AA 682 RA; AO 464 AO;-ს შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა, კლასიფიკატორის კოდი CPV-50100000-ზე 86 (ოთხმოცდაექვსი)ლარი, მიმდინარე რემონტი და მასთან დაკავშირებული მომსახურებები). წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დეფექტური აქტის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს .

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 86 (ოთხმოცდაექვსი)ლარი,

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3.მომსახურების ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშკრულების პირობებს და დაკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4.მომსახურების მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

4.2 მომსახურება- მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მისამართის მიხედვით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის მომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერით.

5.2 მომსახურება დასრულებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5.3 შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ა(ა)იპ შუახევის სოციალური სერვისების ცენტრის წარმომადგენელი ნოშრევან დავითაძე.

6.ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით მიმწოდებლის მირ ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების საფასურის შესაბამისად.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდებასა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, ასევე შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან ;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახრების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით,

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს ავტომანქანის ტექნიკური მომსახურება, გასაწევი მომსახურების მოცულობის შესაბამისად.

ბ) შეასრულოს გამოვლენილი დეფექტის გამოსწორება ,,შემსყიდველი"-ს მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;

გ) გააცნოს ,,შემსყიდველს" გაწეული მომსახურების შედეგები და გაითვალისწინოს მისი მოთხოვნები.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გახდადა, -ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო, თუ კი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1%-ს

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი.

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% -ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორული სიტუაცია

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშვალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

11.2 ხელსეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.3 მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთანავე მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

12. დავები და მათი გადაწყვეტილების წესი

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანმხდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარებენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელსეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადავო საკითხების შეტანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს. თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13.ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების საქონლის მომსახურების მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისწერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)იპ შუახევის სოციალური სერვისების ცენტრი	ი/მ: „რევაზ დავითაძე“
მის:რუსთაველის №61	მის: დაბა შუახევი რუსთაველის № 31
საიდენტიფიკაციო კოდი:447861412	საიდენტ. კოდი:61010006619
ტელ 577-20-55-75	ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი“
	ბანკის კოდი: LBRTGE22
	ა/ა: GE10LB0112122034157000
	ტელ: 591 98 38 05
	557 01 58 58
შუახევის სოციალური სერვისების ცენტრის	ი/მ: „რევაზ დავითაძე“
დირექტორი: მ.დავითაძე	

ვამტკიცებ

ი/მ „რევაზ დავითაძე“

დირექტორი რ. დავითაძე

დეფექტური აქტი

22 ივნისი 2016 წ.

დ.შუახევი.

ჩვენს მიერ, კომისიური წესით ერთის მხრივ, ი/მ „რევაზ დავითაძე“ შემდგომში (მიმწოდებელი) წარმომადგენელი რ.დავითაძე, მეორეს მხრივ შემდგომში (შემსყიდველი) ა(ა)იპ შუახევის სოციალური სერვისების ცენტრის წარმომადგენელი ნოშრევან დავითაძე.

ავტ/მანქანა ვაზ 21214 AA 682 RA

დათვალიერების შედეგად გამოვლენილი იქნა შემდეგი დაზიანებები, რის შესაკეთებლადაც საჭიროა შემდეგი სათადარიგო ნაწილების შესყიდვა და სამუშაოს შესრულება:

№	დასახელება	საქონ. კოდი	საქონ. ზომის ერთეულ	საქონ. რაოდენობა	საქონ. ერთეულ ფასი	საქონლის ფასი
1	მაყუჩის ბალიში		ცალი	1	10,00	10,00
2	ანტიფრიზი	7428	ლიტრი	1	8.00	8.00
3						
4						
5						
	სათადარიგო ნაწილების ღირებულება	--------	-------	----------	--------	18,00

1	შესრულებული სამუშაო	15
2		
	ჯამი	

შესასრულებელი სამუშაოს ფასი

სულ ჯამი: ----------	33.00- (ას ხუთი) ლარი

შესასრულებელ სამუშაოთა და სათადარიგო ნაწილების საერთო ღირებულებამ შეადგინა დ.ღ.გ.-ის ჩათვლით

შემსრულებელი დამკვეთი

ი/მ „რევაზ დავითაძე“ ა(ა)იპ შუახევის სოციალური სერვისების ცენტრი

დირექტორი რ.დავითაძე წარმომადგენელი ნ.დავითაძე

ვამტკიცებ

ი/მ „რევაზ დავითაძე“

დირექტორი

რ. დავითაძე

დეფექტური აქტი

22 ივნისი 2016 წ.

დ.შუახევი.

ჩვენს მიერ, კომისიური წესით ერთის მხრივ, ი/მ „რევაზ დავითაძე“ შემდგომში (მიმწოდებელი) წარმომადგენელი რ.დავითაძე, მეორეს მხრივ შემდგომში (შემსყიდველი) ა(ა)იპ შუახევის სოციალური სერვისების ცენტრის წარმომადგენელი ნოშრევან დავითაძე.

ავტ/მანქანა ვაზ 21214 AO 464 AO

დათვალიერების შედეგად გამოვლენილი იქნა შემდეგი დაზიანებები, რის შესაკეთებლადაც საჭიროა შემდეგი სათადარიგო ნაწილების შესყიდვა და სამუშაოს შესრულება:

№	დასახელება	საქონ. კოდი	საქონ. ზომის ერთეულ	საქონ. რაოდენობა	საქონ. ერთეულ ფასი	საქონლის ფასი
1	შარავოი ბურთულა	025	ცალი	1	20	20
2	შტანგის რეზინა	11	ცალი	4	2	8
3						
4						
5						
	სათადარიგო ნაწილების ღირებულება	--------	-------	----------	--------	28

1	შესრულებული სამუშაო	25
2		
	ჯამი	

შესასრულებელი სამუშაოს ფასი

სულ ჯამი: ----------	53.00- (ას ოცდაათი) ლარი

შესასრულებელ სამუშაოთა და სათადარიგო ნაწილების საერთო ღირებულებამ შეადგინა დ.ღ.გ.-ის ჩათვლით

შემსრულებელი

ი/მ „რევაზ დავითაძე“

დირექტორი რ.დავითაძე

დამკვეთი

ა(ა)იპ შუახევის სოციალური სერვისების ცენტრი

წარმომადგენელი ნ.დავითაძე